სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/123

ქ. თბილისი 30 05 2019 წ.

კონკურსის – „წიგნების აღრიცხვისა და მკითხველთა მომსახურების სისტემა შტრიხკოდების ბაზაზე. წიგნების ელექტრონული ბაზის შექმნა“. - გამოცხადების, მიმღები კომისიის შექმნისა და შემადგენლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ნიკო მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის და ცენტრი „ერთად“ ხელმძღვანელების 2019 წლის 20 მაისის მოხსენებითი ბარათის (596847) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი შემდეგი პროექტის: **„წიგნების აღრიცხვისა და მკითხველთა მომსახურების სისტემა შტრიხკოდების ბაზაზე. წიგნების ელექტრონული ბაზის შექმნა“**. (პროექტის ხელმძღვანელი ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის პროგრამისტი მაგული პაპიაშვილი).
2. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს.
3. კონკურსის ორგანიზება და პროექტის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს „ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობ ცენტრს ერთად“.

4. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიღებისა და შეფასების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ გასიტაშვილი – (თავმჯდომარე) რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

ირმა ინაშვილი – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

თინათინ კაიშაური – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

ვახტანგ კვარაცხელია – ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი;

მერაბ ახობაძე – „ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის – ერთად“

ხელმძღვანელი;

ვაჟა პაპასკირი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი.

5. აღნიშნული პროექტისათვის, განისაზღვროს თანხა 800 ლარის ოდენობით, რომელიც გადანაწილდება პროექტის ხელმძღვანელზე და პროექტის შემსრულებლებზე;
6. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს ცენტრს „ერთად“.

რექტორი — არჩილ ფრანგიშვილი